სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, ტელ.: 0350 272401, ელ. ფოსტა: info@tesau.edu.ge

მეხუთე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
„კულტურათაშორისი დიალოგები“

25-26-27 ოქტომბერი, 2019 წელი
თელავი, 2200, საქართველო

საინფორმაციო წერილი

პატივცემულო კოლეგებო!
გვაქვს პატივი მოგიწვიოთ მეხუთე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „კულტურათაშორისი დიალოგები“.

კონფერენცია ეძღვნება უნივერსიტეტის 80 წლის იუბილეს!

საკონფერენციო მოხსენებები დაიბეჭდება სრულად

კონფერენციის სამეცნიერო მიმართულებები:

- ისტორიული და ლიტერატურული კვლევები (პარალელები);
- მითოლოგიური, ფოლკლორული და დიალექტოლოგიური ძიებანი;
- ენათა შეპირისპირებითი ტიპოლოგია;
- ენათა ურთიერთგავლენები თანამედროვე მსოფლიოში;
- ნაციონალური ენები და კულტურა, მათი სპეციფიკა და ურთიერთზეგავლენა;
- ენათა ლინგვოკულტუროლოგიური და სოციოლინგვისტური ასპექტები;
- სამეცნიერო მემკვიდრეობათა კულტურათაშორისი მიმართებანი;
- თარგმანი და კულტურათაშორისი კომუნიკაციები;
- სახელოვნებო მიმართულებათა კულტურათშორისი ასპექტები;
- მასმედია - თანამედროვეობა, თეორია და მეთოდოლოგია;
- ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი;
- საბუნებისმეტყველო და სამედიცინო კვლევები;
- ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ძირითადი ასპექტები;
- სწავლების თანამედროვე მეთოდები და საინფორმაციო ტექნოლოგიები კვლევა-სწავლებაში;
- აგრო და ბიზნეს ინდუსტრია;
- პოლიტიკური მეცნიერებები, რეგიონალური მმართველობა და კულტურულ–საგანმანათლებლო ურთიერთ–მიმართებანი;
- ეკონომიკა.

- **კონფერენცია ითვალისწინებს პლენარულ და სექციურ მუშაობას; ასევე კულტურულ პროგრამას**

- **კონფერენციის ფარგლებში ჩატარდება ტრენინგები კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდებზე; გაიცემა სერტიფიკატები**

- **საკონფერენციო პროგრამა და შრომების კრებული დარიგდება კონფერენციის მსვლელობის დროს**

კონფენეციის სამუშაო ენები: ქართული, ინგლისური, რუსული.

კონფერენციის რეგლამენტი: მოხსენება 10-15 წუთი
მსჯელობა 3-5 წუთი

- **კონფერენციაზე შესაძლებელია დაუსწრებელი მონაწილეობაც**

გთხოვთ, საკონფერენციო განაცხადი (თანდართული ფორმით) გადმოაგზავნოთ **2019** წლის **10 მაისამდე** ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე:

nunukageldiashvili@gmail.com

manana_garibashvili@yahoo.com

- საორგანიზაციო კომიტეტი შეარჩევს მოხსენებებს კონფერენციისათვის. **15 მაისამდე** მიიღებთ შეტყობინებას კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ;
- **10 ივნისამდე** აგზავნით საკონფერენციო მოხსენებას და იხდით სარეგისტრაციო გადასახადს (საბანკო რეკვიზიტები გეცნობებათ დამატებით).

❖ კონფერენციის **მონაწილემ,** საორგანიზაციო კომიტეტის შეტყობინების შემდეგ, უნდა გადაიხადოს საორგანიზაციო თანხა **115 ლარი** (მონაწილემ უცხოეთიდან - **60$**). თანაავტორობის შემთხვევში აღნიშნულ თანხას იხდის თითოეული ავტორი ცალ-ცალკე. თანხის გადახდა მოხდება საბანკო ანგარიშსწორებით.

- მგზავრობა და სასტუმრო ხარჯები – კონფერენციის მონაწილეთა ხარჯით
- კულტურული პროგრამა და ექსკურსია – კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის ხარჯით
- კონფერენციის ჩატარების ადგილი - თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საკონფერენციო დარბაზი, უნივერსიტეტის ქუჩა N 1.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის!

პატივისცემით,
კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი

განაცხადი

მეხუთე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **„კულტურათაშორისი დიალოგები “**
თელავი, 2019 წელი

სახელი, გვარი, მამის სახელი	
ქვეყანა, ქალაქი	
უმაღლესი სასწავლებლის/დაწესებულების დასახელება,სამუშაო ადგილი, თანამდებობა	
სამეცნიერო ხარისხი, წოდება	
მისამართი (ინდექსი)	
ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი	
მონაწილეობა (დასწრებული, დაუსწრებელი)	
მოხსენების სათაური	
სამეცნიერო მიმართულება	
მოკლე აბსტრაქტი	
გჭირდებათ თუ არა სასტუმრო	

მოთხოვნები კრებულში ნაშრომის გაფორმებისათვის

მოხსენების მოცულობა **5 – 8 გვერდი**

ელექტრონული ფოსტის მისამართი: **nunukageldiashvili@gmail.com**
manana_garibashvili@yahoo.com

- ❖ ქართულ ან რუსულ ენაზე შესრულებულ სტატიას დაურთეთ **აბსტრაქტი** ინგლისურ ენაზე, ინგლისურ ენაზე შერულებულ სტატიას - ქართულ ენაზე;
- ❖ **აბსტრაქტი (abstract)** უნდა იყოს:
- ინფორმაციული (არ შეიცავდეს ზოგად ფრაზებს);
- შინაარსიანი (ასახავდეს სტატიის ძირითად შინაარსს და კვლევის შედეგებს);
- სტრუქტურირებული (მისდევდეს სტატიის ლოგიკას - შესავალი, მიზანი, ამოცანები, მეთოდები ან მეთოდოლოგია, შედეგები, შედეგების გამოყენების სფერო, დასკვნა);
- დაწერილი უნდა იყოს ხარისხიანი ქართული/ინგლისური/რუსული ენით
- კომპაქტური (შეიცავდეს **100-დან 150** სიტყვამდე).

აბსტრაქტი (abstract) უნდა გადმოსცემდეს სამუშაოს არსს და გასაგები იყოს მკითხველისათვის თვით პუბლიკაციის წაკითხვის გარეშე. იგი არ უნდა შეიცავდეს ისეთ მასალას, რაც არ არის პუბლიკაციის ძირითად ტექსტში.

აბსტრაქტის (abstract) ტექსტი უნდა იყოს ლაკონური და მკაფიო, თავისუფალი ზედმეტი სიტყვებისაგან, გამოირჩეოდეს ფორმულირების დამაჯერებლობით.

- ❖ აბსტრაქტში სავალდებულოა ნათარგმნი იყოს ნაშრომის სათაური და მითითებული სახელი, გვარი და ორგანიზაცია;

- ❖ დაასახელეთ სტატიის **5 (ხუთი) საკვანძო სიტყვა** ქართულ და ინგლისურ ენებზე. რუსულ ენაზე შესრულებულ სტატიას საკვანძო სიტყვები მიეთთება რუსულ და ინგლისურ ენებზე.

1. გვერდის ფორმატი: **– A4 (14,85 x 21,0 სმ.)**
2. გვერდის ველი : – **2 სმ (– File, Page Setup, Margins)**
3. ფონტი ქართული ტექსტი – **სილფაინი, ზომა 12**
   русский текст – ***Times New Roman,*** **ზომა 14**
   латинский текст –***Times New Roman,*** **ზომა 12**
4. ინტერვალი – **1 (Single)**
5. აბზაცი – **1 სმ**
6. ავტორის გვარი, სახელი პირველ ხაზზე **(Bold)**; ერთი ინტერვალის გამოტოვებით სათაური **(Bold)** ზომა **14**
7. ბრჭყალები ქართულ და ლათინურ ტექსტში გამოიყენეთ ნიმუშით **(„“)**, რუსულ ტექსტში **(«»);**
8. ტექსტში გამოიყენეთ ტირე **(–)**, ხოლო სიტყვათა შიგნით დეფისი **(-).**
9. სტატიაში ავტორთა გვარები გამოიყენეთ ნიმუშის მიხედვით: **აკაკი წერეთელი, *А.С.Пушкин, Н.Я.Марр, А.Белый, Вл.Соловьев, Вяч.Иванов*.**
10. ბიბლიოგრაფია: ზომა **10.** სტატიის ბოლოს ალფავიტზე განალაგეთ გამოყენებული ლიტერატურა შემდეგი ნიმუშით:

- წიგნის ციტირების დროს: გვარი სახელი. (გამოცემის დრო): დასახელება, გამომცემლობა. გამოცემის ადგილი. მაგალითად: **შანიძე ა.გ. (1953): ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. I. მორფოლოგია. თსუ გამომცემლობა. თბილისი.**
- სტატიის ციტირების დროს: გვარი, სახელი (გამოცემის წელი): სტატიის დასახელება.//ჟურნალის ან წიგნის დასახელება. ჟურნალის ნომერი. სტატიის პირველი და ბოლო გვერდი. მაგალითად: **რამიშვილი ვალ.(1947): ენის სიწმინდისათვის // "ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", №4. 25-45.**

პატივისცემით,
კონფერენციის სარედაქციო კოლეგია